

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

Literature and Literary Theory

აკაკი წერეთელი საგმირო-სარაინდო რომანების შესახებ

ნანა ფრუიძე

საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველოa-mail: nan.pruidze@ug.edu.ge

ORCID: 0009-0003-0358-2974

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.14>

SJIF 2025: 8.584

„ყარამანიანი“ XIX საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნი იყო, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სასტამბო საქმის აღორძინებისთანავე დაინტერესდნენ ამ ტექსტით გამომცემლები. აკაკი წერეთელს წიგნის ბეჭდვა ძალიან საპასუხისმგებლო საქმედ მიაჩნდა. მისი აზრით, სწორედ გამომცემლებზე იყო დამოკიდებული, როგორ წარიმართებოდა მკითხველი საზოგადოების ლიტერატურული გემოვნების ფორმირების პროცესი; აკაკი თვლიდა, რომ „ყარამანიანის“ და მსგავსი თხზულებების გამომცემლები ვერ აცნობიერებდნენ, თუ რა ზიანს აყენებდნენ საქვეყნო საქმეს. მიუხედავად საგმირო-სარაინდო რომანების მიმართ ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულებისა, აშკარაა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე გარკვეული გავლენა მაინც იქონია „ყარამანიანის“ ტექსტმა, რომლის ცალკეული პასაჟები ეფექტურადაა არეკლილი არა მარტო მის მხატვრულ პროზაში, არამედ პოემებშიც. ვფიქრობთ, ეს საკითხი კდევ უფრო ჩაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: აკაკი წერეთელი, საგმირო-სარაინდო რომანები, „ყარამანიანი“

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში ნაბეჭდი წიგნის ისტორია 1709 წელს ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილი „სახარებით“ იწყება. სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, XVIII ს.-ის ბოლო მეოთხედში აღორძინებული სასტამბო საქმიანობა თითქმის მთლიანად ჩაკვდა. ასე, მაგალითად, 1801-1837 წლებში საქართველოში თურმე მხოლოდ 8 წიგნი გამოცემულა. საგამომცემლო საქმიანობა კვლავ გაცხოველდა XIX საუკუნის 60-იან წლებში. რასაკვირველია, ეს იყო შედეგი, ერთი მხრივ, ვორონცოვის მმართველობის პერიოდში ქართული კულტურის განვითარების ხელშეწყობის, ხოლო, მეორე მხრივ კი - ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა.

სწორედ 60-იანი წლებიდან გაჩნდნენ საქართველოში კერძო გამომცემლები: სტეფანე მელიქიშვილი, გრიგოლ ჩარკვიანი, ექვთიმე ხელაძე, ძმები თავართქილაძეები, არსენ კალანდაძე და სხვები. ამავე ხანებიდან ქვეყნდება პერიოდულ პრესაში „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, რომელიც საზოგადოებას ახლად დაბეჭდილი წიგნის თაობაზე აწვდის ინფორმაციას. 1880 წელს თბილისში „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობაც“ კი დაარსდა, რომელიც მიზნად ძველ ხელნაწერთა გამოცემასა და პოპულარიზაციას ისახავდა. რომ არა „ამხანაგობისა“ და კერძო მესტამბეთა ძალისხმევა, შეიძლება ბევრი ხელნაწერი უკვალოდ გამქრალიყო. თუმცა, როგორც იტყვიან, ყველა მედალს აქვს მეორე მხარე: ზოგჯერ გამომცემლები ყურადღებას აქცევდნენ არა იმდენად თხზულების ღირსებას, არამედ იმას, თუ რამდენად პოპულარული იყო იგი ხალხში და, თანამედროვე ტერმინი რომ გამოვიყენოთ, რამდენად „გაყიდვადი“ აღმოჩნდებოდა დაბეჭდვის შემთხვევაში.

ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, აუცილებლად გაიყიდებოდა, იყო „ყარამანიანი“. ქართველი მკითხველი მას XVIII საუკუნის 70-იან წლებში გაეცნო. „ყაჰრამან ნამე“ საქართველოში ერეკლე მეორის სიძემ, დავით სარდალმა ჩამოიტანა და თარგმნა. მართალია, „ყარამანიანი“ ამ ტიპს სხვა თხზულებების მსგავსად, მხატვრული ღირსებით დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ სახალისო საკითხავი იყო და ამიტომაც ადამიანები საკმაოდ დიდ თანხას იხდიდნენ ხელნაწერის ასლის შესაკვეთად;

როგორც თანამედროვეთა მოგონებებიდან ვიცით, „ყარამანიანი“ XIX საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნი იყო, რომელიც ერთნაირი მოწონებით სარგებლობდა როგორც მაღალი, ისე დაბალი წოდების ხალხში. პრაქტიკულად არ არსებობდა ოჯახი, სადაც სხვა წიგნებთან ერთად „ყარამანიანის“ უზარმაზარი ხელნაწერი არ ინახებოდა. მზითევში ქალებს „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად „ყარამანიანსაც“ ატანდნენ. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ „ყარამანიანის“ არაერთი ხელნაწერი ნუსხა გვაქვს შემორჩენილი. ერთ-ერთი ილია ჭავჭავაძის მამის, გრიგოლის ნაქონია. სავარაუდოდ, ილიას ბავშვობაში ბევრჯერ მოუსმენია ყარამანის თავგადასავალი, ამიტომაცაა, რომ მის მოთხრობებში ვხვდებით ამ თხზულების პერსონაჟების სახელებს. ვის არ ახსოვს „კაცია-ადამიანიდან?!“ სუტ-კნენინას სიტყვები: „თქვენ ყმაწვილი კაცი ბძანდებით. მე, რა წამსაც დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, რასაც გაუგოყვია ის საწყალი ქალი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან *ყარამანის* მხარ-ბეჭი და სიტურფე ტარიელისა, გონიერება *გარდანქეშანისა*. თვალი მოგკარით თუ არა, მაშინვე მივხვდი, რასაც აუნთია ცეცხლი იმ უბედურის ქალის გულშია. ... არც ქალია ურიგო, - დაიწყო ისევ სუტ-კნენინამ, - როგორი *ყარამანიც* შენ ხარ, იმისთანა *საღობხურამან* ის არის“ [ჭავჭავაძე, 1988:45]. ილიამ „კაცია-ადამიანი?!“ 1863 წელს გამოაქვეყნა „საქართველოს მოამბეში“ (#4, #5, #6). საგულისხმოა, რომ ზუსტად თვრამეტი წლის შემდეგ მან ნატო გაბუნias საბენეფისოდ შექმნა პიესა „მაჭანკალი“ „კაცია-ადამიანის?!“ VI-VIII თავების საფუძველზე. პიესის ტექსტი საგრძნობლადაა გადაკეთებული, დამატებულია ახალი სიუჟეტური დეტალები, თუმცა არათუ უცვლელადაა დატოვებული მაჭანკლის მიერ ლუარსაბისა და დარეჯანის „ყარამანიანის“ პერსონაჟებთან შედარების ეპიზოდი, არამედ კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს, რომ ავტორს კარგად ახსოვს ამ სარაინდო რომანის ტექსტი:

ლუარსაბი. ანჯიქოს გვერდით დამსვენს. ანჯიქო ხომ გაგიგონიათ? კახეთში თავი მსმელია. *ხორეშა ნი*. (პუბლიკისაკენ) ვიშ, გეთაყვანეთ. (ლუარსაბს) გათქმული და სახელოვანი. *ლუარსაბი*. სახელოვანო!.. სახელოვანი ვის ეკადრება? სმაში კოპიტიშვილია, აი, ფალავანი.

ხორეშანი. სააპყრანია, შენ ნუ მომიკვდები, სააპყრანი. (პუბლიკისაკენ) ეს რა ჭირს გადავკიდე, თქვენი ჭირიმეთ (ჭავჭავაძე, 1988:358).

...

ხორეშა ნი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან ყარამან ყათილის მხარ-ბეჭი, სიტურფე ტარიელისა, გონიერება გარდანქეშანისა. უი, მშვენიერთა მშვენიერო!..(იქვე)

ილიამ, რა თქმა უნდა, იცის, რომ „ყარამანიანის“ სპარსულ დედანს „დასთანე ყაჰრამანე ყათილ“ („ამბავი ყარამან მკვლელისა“) ჰქვია, ხოლო უშანგ შაჰის კარზე ფალავანს სააპყრანს, ანუ ძლევამოსილს, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულს უწოდებენ. სწორედ იმ ხანებში, როცა ილია „მაჰანკალზე“ მუშაობდა, კიდევ უფრო გაიზარადა რომანის პოპულარობა, რადგან ხელმისაწვდომი გახდა მისი ცალკეული თავების ბეჭდური ვერსიის შეძენა. ილიას ნიშანდობლივად რომ არ მიეჩნია ეს გარემოება, მოთხრობის დაწერიდან თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ თავის პიესაში „ყარამანიანის“ პერსონაჟები, შესაძლოა, საერთოდ აღარ ეხსენებია.

„ყარამანიანი“ პირველად დავით ლაზარევმა გამოსცა 1875-1882 წლებში. იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, საგამომცემლო ხარჯი დიდი არ ყოფილიყო და, მეორე მხრივ, წიგნის შეძენა დაბალი თვითღირებულებიდან გამომდინარე ხელმოკლე მკითხველსაც არ გასჭირვებოდა, ლაზარევმა ეს საკმაოდ დიდი მოცულობის ნაწარმოები ცალკეულ კარებად „დაშალა“ და საკუთარი რედაქციით გამოსცა პატარ-პატარა წიგნებად. მათი ღირებულება დიდი არ იყო - თითოეულს ექვს შაურად, ანუ 30 თეთრად შეიძენდა ადამიანი. წიგნი სწრაფად გაიყიდა. ზოგიერთი კარი რამდენჯერმეც კი დაბეჭდა ლაზარევმა. ტექსტი სრულად კი კიდევ ორჯერ გამოაქვეყნა - 1888-1912 წ.წ და 1901-1914 წ.წ.-ში.

მიუხედავად იმისა, რომ „ყარამანიანი“ ლამის ყველაზე მოთხოვნადი წიგნი იყო, მისი ბეჭდური ვერსიის გამოჩენამ ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. აკაკი წერეთელი 1876 წელს გიორგი ქართველიშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „ნადული“ („ქორს წიწილა მიჰქონდა..“) წერდა: „იმდენი „ჰაუ! ჰაუ!“ იმახეს ჩვენმა ყმაწვილებმა, რომ ხალხი გამოაღვიძეს. დღეს ის სულიერ საზრდოსა თხოულობს, და ხელის შემწყობი მისთვის საჭიროა. ამ უკანასკნელს დროში, სხვათა შორის, მათში [საზოგადოებაში - ნ.ფ.] კითხვის სურვილი აიძრა. ეს შენიშნეს ზოგიერთებმა და იწყეს სხვადასხვა წიგნების ბეჭდვა ... მაგრამ კეთილი საქმისთვის მარტო სურვილი არ არის საკმაო. უნდა ის მოთავეები კარგათ არჩევენ ავსა და კარგს; იცოდენ, რა აწყენს და რა არგებს ხალხს, თორემ მარტო იმას რომ მიხედონ, რომ კითხულობენო ჩვენგან დაბეჭდილ წიგნებსაო, ეს ძალიან ცოტა იქნება. მშიერს რომ მადა გაელვიდება, მავნებელი რამეც რომ მიუტანოთ, ხარბათ დაუწყებს ჭამას, მაგრამ საბოლოოთ კი არ არგებს. „ალექსიანის“, „ქალ-ვაჟიანის“, „ყარამანიანის“ და სხვადასხვა სულელიანების გამომცემლებს ასე ჰგონიათ, რომ სახალხო წიგნი იმასა ჰქვია, რომელიც ერთ შაურზე მეტად არ იყიდებაო და იღვწიან თავმომწონეთ! ეს მათი შრომა და მოღვაწეობა გულწრფელობითაა, ვიცით, მაგრამ ვნებას მაინც მოიტანს, ამაში ეჭვი აღარ არის!“ (წერეთელი, 2023:395). ამ ამონარიდში ძალიან საინტერესო მოსაზრება აქვს აკაკის გამოთქმული; მისი ღრმა რწმენით, წიგნის ბეჭდვა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. გამომცემლებზეა დამოკიდებული, როგორ წარიმართება მკითხველი საზოგადოების ლიტერატურული გემოვნების ფორმირების პროცესი; აკაკი თვლის, რომ ეს ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რამხელა ზიანის მოტანა შეუძლიათ ხალხისათვის; აკაკის აზრით, წიგნის

გამოცემა არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ბიზნესად; ეს საქვეყნო საქმეა და ამიტომაც განსჯის ასე მკაცრად ზოგიერთ მესტამბეს. აკაკიმ იცის, რომ „დროების“ ფურცლებზე თავისი პოზიციის გამჟღავნებით ბევრ ადამიანს ატკენს გულს, მაგრამ რაკი მავანთა წყენის საპირწონედ ერის ინტერესების დაზარალებაა, ამიტომ შემწყნარებლობა დანაშაულად მიაჩნია.

ზემოხსენებული სტატიის ფინალურ ნაწილში პოეტის მსჯელობა კიდევ უფრო შეურიგებელ ხასიათს ატარებს: „*აწ კი დროა, რომ სულელებსა და უნიჭოებს მაინც მიეცეს შესაფერი, და სახალხო საქმეში არ ერეოდენ. თუ კეთილი საქმე უნდათ, უმჯობესი არ იქნება, რომ თოხსა ან სხვა რამეს მოჰკიდონ ხელი, რომელსაც უფრო მოახერხებენ და რაზედაც ბევრი ნიჭი არ სჭირიათ, ვიდრე უნიჭოდ და უთავბოლოდ, ხალხს წიგნები უბეჭდონ და უთავკაცონ? აბა ერთი გასინჯეთ, რაც ახლა სტამბებში სახალხო წიგნები გამოდის, რომელსაც სახალხო ჰქვიათ და ნახავთ — თუ რა მავნებელია ხალხისათვის. ვისის რჩევითა და თაოსნობით ის წიგნები იბეჭდება, რა ეთქმისთ იმათ აბა მის მეტი. რომ, ძმებო, კარგი კაცები ხართ, გიყვარსთ ჩვენი ხალხი; მაგრამ, რადგანც თვითონ თავი არა გაქვსთ, ცოტა სიფრთხილით მოიქეცით და თქვენზედ ჰქვიანებსა, უფრო გამოცდილებს დაეკითხეთ ხოლმე!..* (წერეთელი, 2023:396).

აკაკი გულისხმობს პეტრე უმიკაშვილს, ზაქარია ჭიჭინაძესა („ალექსიანისა“ და „ქალვაჟიანის“ გამომცემლები) და დავით ლაზარეოს („ყარამანიანის“ გამომცემელი). რასაკვირველია, მარტო აკაკი არ აკრიტიკებდა ამ ადამიანებს; ცნობილი ლოტბარი, პირველი ქართული „ხოროს“ შემდგენელი, პედაგოგი, ლექსიკოგრაფი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი და პუბლიცისტი ლადო აღნიაშვილი აღშფოთებას ვერ ფარავდა: „ეს ახალ-ახალი გამოცემა „ყარამანიანისა“, ესეც „ქუჩუკ ყარამანიისა“ და სხვა ათასი ამ გვარი... რა სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ ამ ზემო ჩამოთვლილ წიგნებს? ამათ უნდა შეაყვარონ ყმაწვილს კითხვა, მეცნიერება, სამშობლო ისტორია, სამშობლო მხარე, სამშობლო ენა, სამშობლო ლიტერატურა: ამათ უნდა აღუზარდონ მას ზნე და ხასიათი, გული?“

ინტელიგენციის მხრიდან ასეთი დამოკიდებულების გამოვლენამ აიძულა გამომცემლები, ერთგვარი მობოდიშებით გაემართლებინათ საკუთარი გადაწყვეტილება. ასე, მაგალითად, პეტრე უმიკაშვილი „ალექსიანის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „ჩემთვისაც დიდად სამწუხაროა, რომ ამ წიგნს ვბეჭდავ, მაგრამ რასა იქმს კაცი, როცა ეს წიგნი ძლიერ არის გავრცელებული ხალხში“. დავით ლაზარევი კი ასე „იმართლებდა“ თავს: „უნდა მოგახსენოთ, მკითხველნო, რომ „ყარამანიანს“ არავითარი ვნება არ მოუტანია ქართველი ერისათვის, სამაგიეროდ უფრო ნაყოფი გამოიღო თავისი სახალისო და მიმზიდველის შინაარსით და დედანასაებრ წერა-კითხვა შეასწავლა უსწავლელ მდაბიო ხალხს. მეტადრე სოფლებშიც, სადაც იმ დროს სამრევლო სკოლები სულ არ არსებობდნენ“.

არ იქნება მართალი თუ ვიტყვთ, რომ „ყარამანიანისა“ და მსგავსი წიგნების მიმართ განათლებული საზოგადოების დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითი იყო. ასე, მაგალითად, 1904 წელს ჟ. „მოამბეში“ დაიბეჭდა „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“. მასში აღნიშნულია, რომ მეორედ გამოიცა „ყარამანიანის“ IX თავი დ. ლაზარევის მიერ 1200 ეგზემპლარად, რაც იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ტირაჟია. ბიბლიოგრაფიული შენიშვნის ავტორი წერს: „ამ წიგნს ხალხში დიდი გასავალი აქვს და დიდს ინტერესს იწვევს, როგორც საგმირო პოემა. შიგ გატარებული აზრები აღუძვრენ მკითხველს საგმირო საქმეებისადმი დიდ ტრფობას და გამოიწვევენ მასში მაღალ გრძნობებს. მამულის სიყვარული, დაჩაგრულის და სუსტის დაფარვა-გამოსარჩლება, ძლიერებთან შებრძოლება, თავისი სიტყვის შენახვა, ძმობის მტკიცედ აღსრულება, ქალის სიპატიოსნის დაცვა და მისი პიროვნების ამაღლება, აი, რა აზრებით არის

გამთბარი ეს ნაწარმოები და ხალხიც ტყუილად არ ეტანება მას. ენა თუმცა შეიძლება გრამატიკულის მხრივ გვეჩვენოს უსწორ-მასწოროდ, მაგრამ მდიდარი არის თავის ფორმებით, სხვა-და-სხვა ტექნიკური სიტყვებით და პლასტიკითაც. **„ყარამანიანი“ ღირსია იმის, რომ ჩამოერთვას მისი გამოცემა უვიც გამომცემლებს და რომელიმე სერიოზულმა პირმა ან საზოგადოებამ იკისროს მისი ერთად ყველა წიგნის გამოცემა შესაფერისი წინასიტყვაობით.** ჩვენი ძველი მწერლობა უნდა დაედვას საძირკვლად ახალი მწერლობის აყვავებას. ამ მხრივ „ყარამანიანი“, „როსტომიანი“, „მოურავიანი“ და სხვა ასეთი ნაწარმოებები უფრო მეტის ყურადღების ღირსნი არიან, ვინემ დღეს ვხედავთ“ (მოამბე, 1904, #4, გვ.112-113).

სამწუხაროდ, ჟურნალში არ არის მითითებული, თუ ვინ არის „შენიშვნების“ ავტორი, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ის ჟურნალის რედაქტორის, ალ. ჭყონიას მიერ იყოს დაწერილი. ექ. თაყაიშვილის ცნობით, ალ. ჭყონია „მოამბეში“ ბეჭდავდა „თავის მიერ ნათარგმნს უცხოელების თქმულებებს საქართველოს შესახებ, სახელმძღვანელო პუბლიცისტურ წერილებს, შინაურ მიმოხილვებს და ბიბლიოგრაფიულ ცნობებს“ (თაყაიშვილი, 1909: 47). „ყარამანიანის“ თაობაზე გამოთქმული ეს მოსაზრება საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ალ. ჭყონია განათლებული ადამიანი იყო - პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასრულების შემდეგ ის ორი წელი სწავლობდა პარიზში ისტორიის განხრით. ფლობდა ევროპულ ენებს.

აკაკიმ „ნადულის“ გამოქვეყნებიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, 1893 წელს დაიწყო „ჩემი თავგადასავლის“ ბეჭდვა და კვლავ უარყოფით კონტექსტში მოიხსენია სარაინდო რომანების გავლენა ბავშვის ფსიქიკაზე: „საგმირო ზღაპრებმა, სავაშკაცო შაირებმა და ამბებმა იმდენად გამიტაცეს თანდათან, რომ თავი გმირად დავისახე. ერთხელ პატარა შინდის ხეზე გავედი, რომელიც ზღაპრულ ალვის ხეთ წარმოვიდგინე და იქით-აქეთ ყურება დავიწყე, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელმწიფეების სარაიები დამენახა, მაგრამ გადმოვვარდი, გამხდა ბრეგვა მიწაზე და ზურგის ტკივილმა მაგრძნობინა, თუ რა ზღაპრული „ღვთისავარ გმირი“ ვიყავი! **საკვირველია, ამგვარი მარცხები ხანდახან გამომაფხიზლებდნენ ხოლმე, მაგრამ მერე კი ისევ ოცნება მერეოდა და ისევ გამანაცარქექიავებდა ხოლმე** [წერეთელი, 2015: 49].

აკაკი თითქმის ყოველთვის კრიტიკულად აფასებს „ყარამანიანსა“ და მსგავსი ტიპის ლიტერატურას, მაგრამ თავს მაინც ვერ აღწევს ამ ტექსტების გავლენას და ეს მის მხატვრულ ტექსტებში იგრძნობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ზღაპარი „ბროწეულის წყარო“: მეფე დადარდიანებულია, რადგან მზეთუნახავი დედოფალი დევკაჟმა მოსტაცა, ზუსტად ისე, როგორც შაჰპალი ფერიას მოსტაცა აქვალი დევმა მშვენიერი ყამარლუხი. აკაკის ზღაპარში დედის დასახსნელად ვაჟები მიდიან. „ყარამანიანში“ მეგობრის, ბარამ-ჯიბილის დედის გამოსახსნელად ყარამანი მიეშურება. „ბროწეულის წყაროში“ უმცროსი ძმა და მისი ძიძიშვილი გზად ხვდებიან ადამიანებს, რომელთაც არაბუნებრივი უნარები აქვთ შემენილი „თილისმის“ ძალით. ყარამანსაც ხშირად თილისმით მიღებული ცოდნა ეხმარება მიზნის მიღწევაში და ა. შ.

აკაკი თავის სხვა თხზულებებშიც ახსენებს „ყარამანიანის“ მთავარ პერსონაჟს. მაგალითად, პოემაში „ნათელა“ ცოტნე დადიანი ყარამანზე აღმატებულ რაინდადაა წარმოადგენილი:

„ჯერ თაყვანი სცა მასპინძელს,

მუხლები მოიყარა მან. . .

ვერ გამოჩნდება იმასთან

ზღაპრული გმირი ყარამან“. (წერეთელი, 2014: 259)

აკაკი გულისტკივილით ხედავდა, რომ ბევრ მის თანამედროვეს „ვეფხისტყაოსანი“ და „ყარამანიანი“ ლამის ერთი რანგის თხზულებებად მიაჩნდა. ზოგიერთისათვის კი ამ ნაწარმოებების წაკითხვა უკვე ნიშნავდა წიგნიერების სათანადო დონის მიღწევას. ამიტომაც 1889 წელს დაწერილ პიესაში „გაიმკვრები“ სოსიკას ათქმევინებს: „ეს ოხერი, **„ვეფხისტყაოსანი“ ზეპირათ ვიცი და „ყარამანიანი“ ათჯელ მაქ წაკითხული** და მაინც ვერ ვბედავ წერას და შენ კიდევ ბეჭდამ და იმასაც რუსულათ!“ (წერეთელი, 2015: 326).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საგმირო-სარაინდო რომანების მიმართ ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულებისა, აშკარაა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე გარკვეული გავლენა იქონია „ყარამანიანის“ ტექსტმა, რომლის ცალკეული პასაჟები ეფექტურადაა არეკლილი არა მარტო მის მხატვრულ პროზაში, არამედ პოემებშიც. ვფიქრობთ, ეს საკითხი კდევ უფრო ჩაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. **გვახარია ალ., ცაიშვილი ს.,** (რედ) - ყარამანიანი, თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965.
2. **გრიშაშვილი, ი.,** - ძველი თბილისის ბოჰემა, თბილისი: სახელგამი. 1927.
3. **თაყაიშვილი, ე.** - ძველი საქართველო, ტ. I, თბილისი: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, 1909.
4. **წერეთელი, აკ.,** - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. IV. თბილისი: „საქართველოს მაცნე“, 2014.
5. **წერეთელი, აკ.,** - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VII. თბილისი: „საქართველოს მაცნე“, 2015.
6. **წერეთელი, აკ.,** - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. VIII. თბილისი: „საქართველოს მაცნე“, 2015.
7. **წერეთელი, აკ.,** - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. XI. თბილისი: „საქართველოს მაცნე“, 2023.
8. **ჭავჭავაძე ი.,** - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. II, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1988.

Nana Pruidze

Georgian University

Tbilisi, Georgia

a-mail: nan.pruidze@ug.edu.ge

ORCID: 0009-0003-0358-2974

<https://doi.org/10.52340/lac.2025.33.14>**SJIF 2025:** 8.584**Akaki Tsereteli about heroic novels**

Abstract

"Karamanian" was one of the most popular books in Georgia in the 19th century, so it is not surprising that publishers became interested in this text immediately after the revival of the printing business. Akaki Tsereteli considered printing a book a very responsible job. In his opinion, it depended on the publishers how the process of forming the literary taste of the reading public would proceed; Akaki believed that the publishers of "Karamaniani" and similar works did not realize what damage they were doing to the world cause. Despite the uniquely negative attitude towards heroic Saraindo novels, it is obvious that the text of "Karamanian" had some influence on the work of Akaki Tsereteli, individual passages of which are effectively reflected not only in his artistic prose, but also in his poems. We think this issue requires even more in-depth research.

Key words: Akaki Tsereteli, Heroic novels, "Karamaniani"

რეცენზენტი: პროფესორი ოლეგ ლეშაკი